საქართველო, თბილისი, 1071 ჟ.შარტავას N24
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ: ოფისი: +995 237 21 60
ელ.ფოსტა: info@hrn.ge
ვებ-გვერდი: www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემსუბუქების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

24 Shartava str. 3 th floor, apt. 6,
Tbilisi 1071 Georgia
Tel: office: +995 237 21 60
E-mail: info@hrn.ge
Web: www.hrn.ge

GF --48/2020 18. 09.2020

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორს ბ-ნ ამირან გამყრელიძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 8 სექტემბრის №01-101/ნ ბრძანებით ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-41/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 04/07/2014წ.; სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.016269) შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდიკა) მე-7 მუხლის „81" პუნქტი ამოღებული იქნა.

ბრძანებიდან ამოღებული პუნქტის თანახმად ეპიდემიის, პანდემიის, ეპიდემიოლოგიური აფეთქების დროს, დაავადების გავრცელების აღკვეთის მიზნით, გამონაკლისის სახით, ჩამანაცვლებელი პრეპარატის პაციენტის კუთვნილი ულუფის, მაქსიმუმ, 5 დღის ოდენობის მიწოდება/გაცემა ხორციელდებოდა პროგრამის თანამშრომლის, ოჯახის წევრის, მინდობილი პირის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ (უფლებამოსილი პირის განცხადებისა და სსკ-ის გადაწყვეტილების საფუძველზე)."

მოგეხსენებათ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიეკუთვნებიან ინფექციური დაავადებებისადმი, მათ შორის COVID19-ით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს, ხოლო პანდემიის პირობებში არსებობს COVID19-ით მათი ინფიცირების დიდი რისკი და შესაძლოა თავადაც გახდნენ ვირუსის გამავრცელებლები. ბენეფიციარებს ჩანაცვლებითი პროგრამის სერვის-ცენტრებში მისასვლელად უწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობა და მათთვის განკუთვნილი ულუფის მისაღებად გრძელ რიგებში დგომა. დღეის მდგომარეობით კორონავირუსის პანდემია შედის უფრო მწვავე ფაზაში, ყოველდღიურად იმატებს ინფიცირებულთა რაოდენობა და რეალურად დაწყებულია ვირუსის ფართო

საქართველო, თბილისი, 1071 ჟ.შარტავას N24
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ: ოფისი: +995 237 21 60
ელ.ფოსტა: info@hrn.ge
ვებ-გვერდი: www.hrn.ge

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

24 Shartava str. 3 th floor, apt. 6,
Tbilisi 1071 Georgia
Tel: office: +995 237 21 60
E-mail: info@hrn.ge
Web: www.hrn.ge

გავრცელება საზოგადოებაში. არსებული ვითარების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ პროგრამაში მყოფო ბენეფიციარებისთვის 5 დღის ულუფის მიცემის გაუქმება მინიმუმ პანდემიის პირობებში არაგონივრული გადაწყვეტილებაა.

აღნიშნული ბრძანების გამოცემას ალბათ ექნება დასაბუთება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების ხარჯზე, დაუშვებელია. სამინისტროს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონით. განსაზღვრულ მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში დაუყონებლივ შეიქმნას ჩამანაცვლებელი პრეპარატის გაცემასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი მულტისექტორული გუნდის შემადგენლობით (დარგის ექსპერტები, ექიმები, თემის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გადაწყვეტილების მიმღები პირები და პოლიტიკის შემქმნელები), რომელიც შეიმუშავებს ალტერნატიული შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საჯარო ინტერესისთვის ზიანის მიყენების რისკებს და უზრუნველყოფს ბენეფიციარებისთვის მედიკამენტის ხანგრძლივი ვადით გაცემას.

ჩვენ, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი მზად ვართ აქტიურად ჩავერთოთ სამუშაო პროცესში.

პატივისცემით,

კახა კვაშილავა
„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"
აღმასრულებელი დირექტორი